



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 44

2018 წლის 29 ივნისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას მოახდინოს ქ. ბათუმში, დასახლება კახაბერში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის, კერძოდ 152,2 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22.25.02.387) სერვიტუტით დატვირთვა მოქალაქე კახა საკანდელიძის სასარგებლოდ წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



ნადიმ ვარშანიძე